

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის
აპარატის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.smr.gov.ge) საინფორმაციო
გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი
მონიტორინგი

2011 წლის 27 დეკემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.


www.idfi.ge / www.opendata.ge


info@idfi.ge



რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
www.smr.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები





რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული აპარატის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სახელმწიფო მინისტრის კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, მისი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

ამასთან, განყოფილებაში „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მინისტრი“ მოყვანილი სახელმწიფო მინისტრის ფოტოსურათი მეტ-ნაკლებად ბუნდოვანია და დაბალი ხარისხით არის წარმოდგენილი, რა ხარვეზიც სასურველია რომ გამოსწორებულ იქნეს:

მთავარი	
სამინისტრო	
➤ მინისტრის ხელვა	
მინისტრი	➤
➤ აპარატის ფუნქციები	
➤ სტრუქტურა	
➤ დებულება	
სიახლეები	
აფხაზეთის რეგიონი	
ცხინვალის რეგიონი	
სამოქალაქო ინტეგრაცია	
გალერეა	
სხვადასხვა რესურსები	
დაგვიკავშირდით	
ნოტიფიკაციის ფორმები	
ნოტიფიკაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის თაობაზე	
სანოტიფიკაციო ფორმები ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსახორციელებელი საქმიანობის თაობაზე	
სტატუს ნოტრალური დოკუმენტები	
ინფორმაცია სტატუს ნოტრალური დოკუმენტების აღების მსურველებისათვის	
ხშირად დასმული კითხვები	
მედიარესურსები	
დოკუმენტები	



ეკა ტყეშელაშვილი დაიბადა 1977 წლის 23 მაისს ქ. თბილისში.

1999 წელს დაამთავრა ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალობით.

1999 წელს მონაწილეობდა ოქსფორდის უნივერსიტეტისა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) ადამიანის უფლებათა სამართლის ერთობლივ პროგრამაში.

2001 წელს, Edmund Muskie -ის პროგრამის ფარგლებში სწავლა გააგრძელა ნოტრედამის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში, ინდიანა (ა.შ.შ.) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მაგისტრატურაში.

2001 წელს, ამერიკაში ყოფნისას სტაჟირება გაიარა ნიუ იორკის ადამიანის უფლებების იურისტთა კომიტეტში, ხოლო 2002 წელს ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალში, პროკურატურაში, ჰააგაში, (ნიდერლანდები).

1997 წლის ოქტომბრიდან 1999 წლის სექტემბრამდე მუშაობდა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში, მთავარ სპეციალისტად.

1998 წლის იანვრიდან 2000 წლის ივნისამდე მუშაობდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტში სავლე ოფიცერის და კონსულტანტის თანამდებობაზე.

2002 წლის ივნისიდან 2004 წლის დეკემბრამდე იყო IRIS საქართველოს დირექტორის მოადგილე.

2004 წლის დეკემბრიდან 2005 წლის ოქტომბრამდე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე.

2005 წლის ოქტომბრიდან 2006 წლის მაისამდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

2006 წლის მაისიდან 2007 წლის აგვისტომდე იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე.

2007 წლის სექტემბრიდან 2008 წლის თებერვლამდე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

2008 წლის თებერვლიდან მაისამდე იყო საქართველოს გენერალური პროკურორი.

2008 წლის მაისიდან დეკემბრამდე იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.


2008 წლის დეკემბრიდან 2010 წლის ნოემბრამდე იყო ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში.

2010 წლიდან მუშაობს, როგორც ვიცე-პრემიერი და საქართველოს სახელმწიფო მინისტრი

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება განცალკევებული ქვე-განყოფილება „პირველი მოადგილე“, სადაც განთავსდებოდა სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მისი კომპეტენციის აღწერა და


სრული საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა. ამასთან, მომხმარებელთათვის ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, განყოფილებას სათაურად „სამინისტრო“ სასურველია გადაერქვას სახელწოდება და ეწოდოს „სახელმწიფო მინისტრის აპარატი“:



3. ვებ-გვერდზე მოცემულია რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
მის: 0134 საქართველო, თბილისი, ინგოროყვას 7
ტელ: (995 32) 2 98 92 56
ფაქსი: (995 32) 2 92 16 50
ელ-ფოსტა: press@smr.gov.ge



4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აპარატის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (აპარატის ყველა სტრუქტურული ერთეულისა (დეპარტამენტების) და ქვედანაყოფის (სამმართველოების), აგრეთვე საშტატო ნუსხით დადგენილ თანამდებობების პირების, საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები) აგრეთვე, არ მოიძიება აპარატის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული აპარატის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

6. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „სასარგებლო ბმულები“, სადაც საქართველოს სხვა სახელმწიფო ორგანოთა ოფიციალურ ვებ-გვერდების ბმულებთან ერთად (საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სამინისტროები და *მისთ.*) განთავსდებოდა აპარატის მსგავსი კომპეტენციის საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია, სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო მინისტრების აპარატები და *მისთ.*).

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აპარატის სტრუქტურისა და შემადგენლობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება აპარატის სტრუქტურის (უშუალოდ სტრუქტურული ერთეულებისა და ქვედანაყოფების) სქემატური (სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა. ამასთან, განყოფილებაში „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ მოყვანილია საშტატო ნუსხის შესაბამისად აპარატში დადგენილი თანამდებობების ნაკლული და მოძველებული სქემატური აღწერა. ხსენებულ ნახატზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია აპარატის მოქმედი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აღმასრულებელი თანაშემწის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თანაშემწის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწის, მთავარი მრჩეველის და საქმეთა მმართველის თანამდებობების შესახებ:

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილი სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისიის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისია“;
- კომისიის ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები (CV);
- კომისიის სტრუქტურა და შემადგენლობა;
- კომისიის სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები).


➤ მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

9. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, აპარატის საქმიანობის ამსახველი ერთიანი წლიური ანგარიშები, პროგრამებისა და პროექტების არქივი, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები და ა.შ.

ამასთან, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე არსებული ბმული სათაურად „მულტიმედია“ არ მუშაობს:



ხოლო, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „სხვადასხვა რესურსები“ ცარიელია:




10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

➤ ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

11. აპარატის ვებ-გვერდის განყოფილებაში - „სიახლეები“ მოყვანილი უკანასკნელი ცნობა თარიღდება 2011 წლის მაისის თვით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს აპარატის საქმიანობის შესახებ 2011 წლის მაისის თვემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს.

გარდა ამისა, ვებ-გვერდზე არ მოიძიება რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის გამოსვლების, განცხადებების ანდა ბრიფინგების ტექსტები:



12. განყოფილებაში სათაურად „სამოქალაქო ინტეგრაცია“ მოყვანილია შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის 2009 წლის (მაისი - დეკემბერი) და 2010 წლის (იანვარი-დეკემბერი) შესრულების ანგარიშები. ამასთან, ვებ-გვერდზე არ მოიძიება რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ზოგადი საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში „წლიური ანგარიში“:

დოკუმენტები		
საქართველოს ვიცე პრემიერ-მინისტრის ეკატერინე მჭედელაშვილის ბრძანება შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიის შექმნის შესახებ. 24 იანვარი 2011 წ.	24.01.2011	ქართული
საქართველოს მთავრობის განკარგულება შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ	08.05.2009	ქართული
შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა (ქართულად)	08.05.2009	ქართული
შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა (აზერბაიჯანულად)	08.05.2009	აზერბაიჯანული
შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა (სომხურად)	08.05.2009	სომხური
შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში: 2009 წლის მაისი - დეკემბერი (ქართულად)	29.12.2009	ქართული
შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში: 2009 წლის მაისი - დეკემბერი (აზერბაიჯანულად)	29.12.2009	აზერბაიჯანული
შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში: 2009 წლის მაისი - დეკემბერი (სომხურად)	29.12.2009	სომხური
შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში: 2010 წლის იანვარი - დეკემბერი (ქართულად)	31.03.2011	ქართული
შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში: 2010 წლის იანვარი - დეკემბერი (აზერბაიჯანულად)	31.03.2011	აზერბაიჯანული
შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში: 2010 წლის იანვარი - დეკემბერი (სომხურად)	31.03.2011	სომხური
სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიის წევრთა სია და მათი რეკვიზიტები	27.12.2011	ქართული
2010 წლის სამოქმედო გეგმა		
2011 წლის სამოქმედო გეგმა		

13. განყოფილებაში სათაურად „სამოქალაქო ინტეგრაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „დემოგრაფიული სტატისტიკა“ მოყვანილია შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია, თუმცა ინფორმაციის მოძიების გაადვილების მიზნით, სასურველია ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე შეიქმნას განცალკევებული განყოფილება (ბანერი) სათაურად „სტატისტიკა“, რომელშიც გარდა ხსენებული სტატისტიკური ინფორმაციისა, განთავსდებოდა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შეგროვებული და დამუშავებული სხვა სახის ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ აპარატის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას:

 რაინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		
მთავარი	დოკუმენტები	
სამინისტრო	საქართველოს მუდმივი მოსახლეობის განაწილება ეროვნული უმცირესობების მიხედვით	20.07.2011 ქართული
სიახლეები	საქართველოს მუდმივი მოსახლეობის განაწილება სქესისა და უპირატესი ეროვნებების მიხედვით	20.07.2011 ქართული
აფხაზეთის რეგიონი	საქართველოს მოსახლეობის განაწილება ეროვნებისა და მშობლიური ენის მიხედვით	20.07.2011 ქართული
ცხინვალის რეგიონი	საქართველოს მოსახლეობის განაწილება ეროვნებისა და სარწმუნოების მიხედვით	20.07.2011 ქართული
სამოქალაქო ინტეგრაცია	საქართველოს მოსახლეობის განაწილება ეროვნებისა და ენის მიხედვით	20.07.2011 ქართული
ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა	საქართველოს მოსახლეობის განაწილება ეროვნებისა და ენის მიხედვით	20.07.2011 ქართული
კანონმდებლობა	საქართველოს მოსახლეობის განაწილება ეროვნებისა და ენის მიხედვით	20.07.2011 ქართული
კალენდარი	საქართველოს მოსახლეობის ოჯახების განაწილება ეროვნების, ოჯახის წევრთა რიცხვებისა და საშუალო სიდიდის მიხედვით	20.07.2011 ქართული
დემოგრაფიული სტატისტიკა	საქართველოს მოსახლეობის ოჯახების განაწილება ეროვნების, ოჯახის წევრთა რიცხვებისა და საშუალო სიდიდის მიხედვით	20.07.2011 ქართული
გალერეა	რუკები	

14. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. ხსენებულ შესაქმნელ განყოფილებაში აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს აპარატი.

➤ სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა

16. მართალია განყოფილებაში სათაურად „სამოქალაქო ინტეგრაცია“ არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად „კანონმდებლობა“, რომლის ინფორმაციული შიგთავსიც შემოიფარგლება საქართველოს კანონმდებლობიდან ამონარიდებითა (სადაც დოკუმენტი #1 შეიცავს მუხლებს ძველი მდგომარეობით) და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, თუმცა ინფორმაციის მოძიების გაადვილების მიზნით, სასურველია ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე შეიქმნას ცალკეული განყოფილება (ბანერი) „სამართლებრივი აქტები“, სადაც სხვა სამართლებრივ აქტებთან ერთად განთავსდებოდა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის და სახელმწიფო მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები (შესაქმნელია ქვე-განყოფილება „კანონქვემდებარე აქტები“) და სამართლებრივი აქტების პროექტები (შესაქმნელია ქვე-განყოფილება „სამართლებრივი აქტების პროექტები“). ამასთან, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები (მათ შორის კონსტიტუციის ტექსტი) სასურველია აგრეთვე მოძიებოდეს არამართო ამონარიდების, არამედ მთლიანი აქტების სახითაც (შესაქმნელია ქვე-განყოფილება „საკანონმდებლო აქტები“). ამასთან, სასურველია შესაქმნელ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ გაერთიანდეს ვებ-გვერდზე მიმოფანტული ყველა სამართლებრივი აქტი, ხოლო ყველა აქტი ხსენებულ განყოფილებაში უნდა მოყვანილ იქნეს მოქმედი მდგომარეობით, რაც გულისხმობს ვებ-გვერდის სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზის პერმანენტულ განახლებას:

 რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი			
მთავარი	ეროვნული კანონმდებლობა		
სამინისტრო	ამონარიდები საქართველოს კანონმდებლობიდან - დოკუმენტი #1 ქართულ ენაზე	20.07.2011	ქართული
სიახლეები	ამონარიდები საქართველოს კანონმდებლობიდან - დოკუმენტი #2. ქართულ ენაზე	20.07.2011	ქართული
აფხაზეთის რეგიონი	ამონარიდები საქართველოს კანონმდებლობიდან - დოკუმენტი #1. აზერბაიჯანულ ენაზე	20.07.2011	აზერბაიჯანული
ცხინვალის რეგიონი	ამონარიდები საქართველოს კანონმდებლობიდან - დოკუმენტი #2. აზერბაიჯანულ ენაზე	20.07.2011	აზერბაიჯანული
სამოქალაქო ინტეგრაცია			
ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა	ამონარიდები საქართველოს კანონმდებლობიდან - დოკუმენტი #1. სომხურ ენაზე	20.07.2011	სომხური
კანონმდებლობა	ამონარიდები საქართველოს კანონმდებლობიდან - დოკუმენტი #2. სომხურ ენაზე	20.07.2011	სომხური
კალენდარი	საერთაშორისო სამართლებრივი აქტები		
დედმოგრაფიული სტატისტიკა	ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია	20.07.2011	ქართული
გალერეა	დეკლარაცია ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელი პირების უფლებათა დაცვის შესახებ	20.07.2011	ქართული
სხვადასხვა რესურსები	ეროვნული უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენცია	20.07.2011	ქართული
დაგეგმვით	ჰაგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი	20.07.2011	ქართული
ნოტიფიკაციის ფორმები	ევროპული ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ	20.07.2011	ქართული
ნოტიფიკაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის თაობაზე			
სანოტიფიკაციო ფორმები ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსაზღვრულგვარილი საქმიანობის თაობაზე			

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში მიღების წესისა და ვადების აღწერა.

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და აპარატში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების*

ინსტიტუტი", სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/reintegracia_sajaroinfo.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც ასევე მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/reintegracia_inostatistics.pdf

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, აპარატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა არასრულყოფილად (არ იქნა მითითებული თანხები), რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/reintegracia_shesvidvebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვებო) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა არასრულყოფილად (არ იქნა მითითებული თანხები), რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/reintegracia_shesvidvebi0001.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე აპარატის მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესყიდვების სრული ჩამონათვალი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/_shesvidvebi0001.pdf).

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, აპარატსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

➤ **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული განყოფილება „ვაკანსიები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (აპარატის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➤ **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება აპარატისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ და აპარატის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2009-2010 წლების ბიუჯეტების შესახებ ინფორმაცია კვარტალების ან/და თვეების მიხედვით (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 47.1 მუხლის თანახმად), ასევე ბიუჯეტებში შეტანილი ცვლილებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/1_biujeti0001.pdf/);

სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტალის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/_reintegracia_biujeti.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/reintegracia_biujeti.pdf/);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც

ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა აპარატის თანამშრომელთა სია თანამდებობების მიხედვით და თითოეულ თანამდებობაზე სარგოებზე (ცალ-ცალკე) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობა 2009/2010 წლების განმავლობაში, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/aparatis_xelpasebi_da_premiebi.pdf);

- არ მოიძიება აპარატის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/reintegracia_xelfasi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/reintegracia_xelfasipremia.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2009 წლის მთლიანად და 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე მინისტრის, მინისტრის მოადგილეების, სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების), ხელმძღვანელი პირების და მათი მოადგილეების თანამდებობრივი სარგოების, სახელფასო დანამატების და პრემიების ოდენობას (ცალ-ცალკე), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც


შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოდიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
http://www.opendata.ge/pdf_files/xelpasebi_premiebi0001.pdf);

- არ მოიძიება აპარატის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს აპარატი;
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ აპარატისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;
- არ მოიძიება პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან აპარატისათვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოდიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
http://www.opendata.ge/pdf_files/reintegracia_sarezervo.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აპარატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოდიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
http://www.opendata.ge/pdf_files/reintegracia_sarezervofondebi.pdf);


ზემოთხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს შესაქმნელ განცალკევებულ განყოფილებაში („ფინანსები“, „ხარჯთაღრიცხვა“, „ბიუჯეტი“ და მისთ.).

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



➤ ნავიგაცია

ვებ-გვერდის ნავიგაციაში კატეგორიის მიმანიშნებელი ისრები არალოგიკურად არის წარმოდგენილი, მაგ:



ერთი შეხედვით გაუგებარია თუ რატომ არის პირველი კატეგორია მიმანიშნებელი ისრების გარეშე, დანარჩენ კატეგორიებს კი ისრები ან წინ აქვთ დართული, ან პირიქით ბოლოში.


ლოგიკა მდგომარეობს შემდეგში: პირველი კატეგორია არის ზედა კატეგორია (ანუ ძირითადი კატეგორია), მისი ქვე-კატეგორიები არის „მიმოხილვა“, „მნიშვნელოვანი დოკუმენტები“ და „რუკები“, ამ შემთხვევაში კატეგორია „მნიშვნელოვანი დოკუმენტები“ ისარი ახლავს ბოლოში, რადგან არის არჩეული კატეგორია, ხოლო დანარჩენ კატეგორიებს ისარები წინ აქვს დართული რადგან ქვე-კატეგორიებია. მეჩიუს ამგვარი ლოგიკა ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის შეიძლება გაუგებარი იყოს, ამიტომ საჭიროა ნავიგაციის „ლოგიკური წყობის“ სხვაგვარად შედგენა;

ვებ-გვერდის ბანერები, რომლებიც მომხმარებელს ეხმარება სწრაფ ნავიგაციაში, არ არის გამართული. მაგ. შემდეგი ბანერი, არ ფუნქციონირებს (იგი არ არის - „დალინკული“):



➤ ძიება

ძიების მოდულს არ აქვს ქართული უნიკოდის მხარდაჭერა:



სასურველია, რომ ვებ-გვერდის ქართულევანოვან ვერსიაში უნიკოდით წერა ავტომატურ რეჟიმით შეიძლებოდეს;


➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

მთავარ გვერდზე, პირველი სურათი არის ყოველთვის ბუნდოვანი (უხარისხო), ეს გამოწვეულია არასწორი პროგრამული (Client Side) კოდით. პირველი სურათი, გადიდებულია პროგრამულად, იგი იმაზე დიდია, ვიდრე ორიგინალია, შესაბამისად იგი კარგავს ხარისხს:



➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა


კონტენტის ხელმისაწვდომობა ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია, მაგ:



ცარიელ გვერდზე უნდა აღნიშნული, თუ რა მიზეზით არის გვერდი ცარიელი;

➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ვებ-გვერდის ვიდეო გალერეა არ ფუნქციონირებს, მისი ვიდეო ფაილები არ იტვირთება. მაგ:




ვებ-გვერდს გააჩნია დაუცველი საქაღალდეები (Folders), მაგ:



Name	Last modified	Size	Description
Parent Directory		-	
Untitled-5.png	04-Nov-2011 04:44	924	
add.gif	04-Nov-2011 04:43	462	
add.jpg	04-Nov-2011 04:43	1.6K	
alpha.png	04-Nov-2011 04:43	924	
arr l.jpg	04-Nov-2011 04:43	506	
arr r.jpg	04-Nov-2011 04:43	509	
arrow big.png	04-Nov-2011 04:43	1.0K	
arrow small.png	04-Nov-2011 04:43	1.0K	
arrow v.png	04-Nov-2011 04:43	318	
bg.png	04-Nov-2011 04:43	1.0K	
bg1.jpg	04-Nov-2011 04:43	1.2K	
bg2.jpg	04-Nov-2011 04:43	1.1K	
bg3.jpg	13-Dec-2011 03:29	16K	
bg3 e.jpg	13-Dec-2011 03:29	15K	
bg3 r.jpg	13-Dec-2011 03:29	16K	
bg50.png	04-Nov-2011 04:43	121	
bg70.png	04-Nov-2011 04:43	924	
bgc.jpg	04-Nov-2011 04:43	1.1K	
bgg.png	04-Nov-2011 04:43	1.8K	
blk bg.png	04-Nov-2011 04:43	950	
bottom 01.png	04-Nov-2011 04:43	3.3K	
close.jpg	04-Nov-2011 04:43	720	
d1 bg.png	04-Nov-2011 04:43	477	
d long.png	04-Nov-2011 04:43	124	
d short.png	04-Nov-2011 04:43	236	
doc h.png	04-Nov-2011 04:43	477	
edit.gif	04-Nov-2011 04:43	188	
email_subscription.png	04-Nov-2011 04:43	676	
...	04-Nov-2011 04:43	...	

➤ უსაფრთხოება


ვებ-გვერდზე არ იფილტრება გადაცემული ცვლადები. ხარვეზი შეიმჩნევა მაშინ, როდესაც ხელოვნურად ვცვლით ერთ-ერთი ცვლადის მნიშვნელობას, მაგ:



ხშირად ასეთი ხარვეზი არის მნიშვნელოვანი პროგრამული წუნი (Blind Sql Injection), რომელიც საკმაოდ სახიფათოა. დეტალურად ამ ხარვეზის შესახებ აქ არ დავწერთ, თუმცა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ანალიზს;

➤ დამატებითი პარამეტრები

ვებ-გვერდზე ყველა გვერდს აქვს ერთიდაიგივე სათაური:



ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გვერდის სათაურში CMS (content management system) არ უნდა ეწეროს, რადგან შინაარსობრივად არ შეესაბამება ვებ-გვერდის სათაურს. ვებ-გვერდის სათაურზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, იგი მნიშვნელოვანია როგორც საძიებო სისტემებში, ასევე მომხმარებლისთვის;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი უხარისხოდ გამოიყურება. მასში არ არის გათვალისწინებული თანამედროვე სტანდარტები, ისეთები როგორიც არის: საჯარო დაწესებულების ლოგოზე დაჭერით მთავარ გვერდზე გადასვლა, ნავიგაციის სწორი ლოგიკის დაგეგმვა და სხვა. ასევე უნდა ითქვას, რომ ვებ-გვერდში არ არის გათვალისწინებული დღეს-დღეობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი - SEO (საძიებო სისტემებში ოპტიმიზაცია).

